წერილის ნომერი: **62-01183031057**
თარიღი: **30/10/2018**
პინი: **6701**

ადრესატი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მისამართი: გ.გულუას ქუჩა 6

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

ჩვენს 25.10.2018 წლის N 62-01182982963 წერილზე, ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტზე სკრინინგის განაცხადთან დაკავშირებით, დამატებით გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები, კერძოდ: პროექტით გათვალისწინებული ერთი დიდი მოცულობის უჯრედის ნაცვლად, მცირე მოცულობის სამი უჯრედის მოწყობა, ასევე უჯრედის ძირის და გადახურვის ჰიდროიზოლაციის ფენის მოსაწყობად გეომემბრანის ნაცვლად, ბენტონიტის საფუძველზე დამზადებული ჰიდროსაიზოლაციო ფენის გამოყენება და ყოველდღიურად შეტანილი ნარჩენების ფენის დასაფარად გრუნტის ნაცვლად სპეციალური საიზოლაციო საშუალების გამოყენება, გარკვეულად ცვლის პოლიგონის მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიურ ციკლს და შესაბამისად მნიშვნელოვნად იცვლება პოლიგონის ექსპლუატაციის პირობები, რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას;

გარდა აღნიშნულისა გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის განთავსების ადგილის ზუსტი მისამართია, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნორიო (საკადასტრო კოდები: 81. 09. 33. 399 და 81. 09. 33. 400).

ლევან ჯღარკავა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი